პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

მებრძოლი გუშაგი

БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის, პარტიული კომიტეტის და გაერთიანებული პროფკომის მრავალტირაჟიანი გაზეთი

МНОГОТИРАЖНАЯ ГАЗЕТА КОЛЛЕГИИ, ПАРТИЙНОГО КОМИТЕТА И ОБЪЕДИНЕННОГО ПРОФКОМА МВД ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

Газета выходит с 1926 года.

№ 35 (2878). 29 აგვისტო, ორშაბათი, 1983 წ. ფასი 2 კაპ.

ВОСПИТАНИЕ ЛИЧНОГО СОСТАВА — НА УРОВЕНЬ ТРЕБОВАНИЙ ПАРТИИ

Сотрудники органов внутренних дел, как и все советские люди, с огромным интересом и воодушевлением восприняли решения июньского (1983 г.) Пленума ЦК КПСС.

Вчитываясь в документы Пленума и сессии, каждый из нас еще раз убеждается в том, что главный смысл, коренное содержание деятельности КПСС — забота о советском человеке, улучшении его жизни, его всестороннем развитии, о создании мирных условий для осуществления его исторической миссии — строительства коммунизма.

Сама жизнь выдвигает требование поднять нашу идеологическую, воспитательную, пропагандистскую деятельность на уровень тех больших и сложных задач, которые под руководством партии решают сегодня органы внутренних дел в деле борьбы с правонарушениями, укрепления общественного порядка и социалистической законности.

Воспитание нового человека, отмечалось на Пленуме, неотделимо от самой энергичной борьбы с пьянством, хулиганством и тунеядством, взяточничеством и стяжательством. Было бы неправильно видеть во всех этих явлениях, вызывающих беспокойство и справедливое возмущение трудящихся, одни лишь «пережитки прошлого» в сознании и поведении людей. Причины многих этих «болячек» следует искать и в сегодняшней практике, в просчетах тех или иных работников, в реальных проблемах и трудностях нашего развития, в недостатках воспитательной деятельности.

Мы должны создавать обстановку нетерпимости ко всем нарушителям норм социалистического общежития, невзирая на лица, мобилизовать против них общественное мнение. Ибо по мере нашего продвижения вперед постоянно возрастают не только возможности для всестороннего развития личности, но и требование к ней со стороны общества.

Важнейшей задачей при этом партия считает воспитание у каждого человека потребности в труде, ясного сознания необходимости добросовестной работы на общее благо. И общественное признание, и материальное благосостояние человека должны определяться прежде всего тем, как он работает. Здесь имеет значение не одна лишь экономическая сторона. Не менее значима сторона идейно-нравственная. Ведь в труде человек не только создает материальные ценности, но и выковывает свои лучшие способности, закаляет волю, развивает творческие силы, утверждает себя как гражданин, активный строитель коммунизма.

Долг партийных и комсомольских организаций наших подразделений и служб — настойчиво добиваться, чтобы заинтересованное, творческое отношение к порученному делу было присуще каждому сотруднику, на каком бы посту он не трудился. Без этого невозможно решить основную задачу в сфере укрепления правопорядка в стране — кардинально повысить качество и эффективность в предотвращении правонарушений и оперативном раскрытии каждого преступления. Мобилизовать возможности каждого подразделения милиции, укрепить их хорошо подготовленными кадрами, более четко координировать взаимодействие, тесно связать усилия в достижении конечных результатов — вот о чем должны сегодня особо позаботиться партийные организации, все члены КПСС.

На Пленуме ЦК КПСС особо подчеркивалась великая сила нравственного примера коммуниста-руководителя. Он всегда на виду у масс, и чем выше пост занимает, тем больше ответственности ложится на него. Тех, кто забывает об этом, у того случается своего рода «высотная болезнь», подстерегают серьезные опасности и срывы. Приходится встречаться и с фактами зазнайства, грубости, волокиты. Есть еще руководители, которые путают свой карман с государственным, злоупотребляют служебным положением. От таких партия решительно избавляется.

Прочные результаты в воспитательной работе достигаются, как говорилось на Пленуме ЦК, там, где она охватывает все стороны жизнедеятельности людей, включая их быт, досуг, сферу семейных отношений.

Вопросы досуга тесно переплетаются с вопросами укрепления общественного порядка, надежного обеспечения спокойствия и личной безопасности граждан. Центральный комитет, отмечалось на Пленуме, строго спрашивает с тех, кому доверено это ответственное дело, и в первую очередь с органов милиции, суда, прокуратуры. Не должна стоять в стороне от поддержания правопорядка и общественность, особенно комсомол.

Выполняя данное указание партии, предстоит еще раз самокритично, по-партийному посмотреть на многогранные стороны деятельности всех подразделений и служб органов внутренних дел. В их работе еще много недостатков и упущений. Важно теперь без раскачки, без лишней суеты, спокойно, по-деловому, глубоко разобраться с положением дел в каждом подразделении и принять кардинальные меры по значительному улучшению оперативной обстановки на конкретной территории, обслуживаемой тем или иным органом внутренних дел, с тем, чтобы трудящиеся, советские граждане судили о милиции не вообще, а по ее действиям у себя в городе, районе, на улице, во дворе. И, конечно, необходимо пересмотреть вопросы нашего взаимодействия с различными общественными формированиями: добровольными народными дружинами, советами профилактики трудовых коллективов, общественными пунктами охраны порядка, оперативными комсомольскими отрядами, внештатными сотрудниками. Здесь много еще казенщины, формализма и парадности. Важно, чтобы в деле укрепления связей с общественностью активнее участвовали комсомольские организации наших подразделений и служб. Именно они должны проявлять больше инициативы в привлечении молодых рабочих, колхозников, служащих, студентов в охране общественного порядка, профилактике правонарушений среди молодежи, перевоспитанию трудных подростков.

Вдохновляющей программой действий являются выдвинутые партией новые большие задачи в сфере дальнейшего совершенствования идеологической, массово-политической работы. Многое предстоит сделать на этом ответственном пути идейной и нравственной закалки сотрудников милиции. Дело это сложное, кропотливое, требующее комплексного подхода. И надежным компасом в данной работе является для каждого из нас документ июньского (1983 г.) Пленума ЦК КПСС.

Печатается с сокращениями из журнала «Советская милиция» № 8, 1983 год.

კომკავშირის აქტუალური ამოცანა

პირველ სექტემბერს იწყება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მე-14 რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიური. ამასთან დაკავშირებით გამართა საქართველოს სსრ კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების და შინაგან საქმეთა ორგანოების ერთობლივი კრება, რომელშიც განიხილა ახალგაზრდობასა და არასრულწლოვნებს შორის სამართალდარღვევათა საქმის ვითარება, გაანალიზა მათი მიზეზები, დასახა ასეთ გამოვლინებებთან ბრძოლის ღონისძიებანი.

კრებაზე მოისმინეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ა. მარგველაშვილის** და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის **გ. კვანტალიანის** მოხსენებები.

კრების მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის კომკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

უწინარეს ყოვლისა, ითქვა კრებაზე, საჭიროა კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები იყვნენ ახალგაზრდობაში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური ორგანიზატორები. ამ დროს კი ზოგიერთი კომკავშირის კომიტეტი თავს ვერართმევს ამ ამოცანას.

კრებაზე დასახელდა ყვარლის, დუშეთის, კასპის, ქარელის რაიონები, რომელთა კომკავშირული კომიტეტებიც არ უკავშირებენ თავიანთ მუშაობას სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობას, მეტიც, აქ რეაგირებას არ ახდენენ მილიციის წარდგინებებზე. ამის შედეგად მნიშვნელოვნად იმატა ახალგაზრდობასა და არასრულწლოვნებს შორის სამართალდარღვევათა რიცხვმა.

სუსტ კოორდინაციას უწევენ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას შრომით კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილას, კლუბებისა და დასვენების ცენტრებში, არ განამტკიცებენ კონტაქტებს კომკავშირულ ორგანიზაციას, სკოლასა და ოჯახს შორის, დაბალ დონეზე ეწევიან სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას.

კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ არ არის უზრუნველყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სკოლების ყველა კურსდამთავრებულის შრომითი მოწყობა. ახალგაზრდობაში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლა დღეს აქტუალური პრობლემა გახდა. ამიტომ კომკავშირული ორთვიურის პირველ ეტაპის მიზანია ამ ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრა, რადგანაც ყველაზე ხშირად სამართალდარღვევები ახალგაზრდობის სწორედ იმ ნაწილში, რომელიც თავს არიდებს მუშაობას.

(საქინფორმი)

სამაგალითო

ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების ხელმძღვანელობა, შემდგომში პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მხარდაჭერითა და დახმარებით, ფართოდ მუშაობას ეწევიან დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, შრომის, საშემსრულებლო, სამსახურეობრივი და სახელმწიფო დისციპლინის განუხრელად ამაღლების საქმეში.

გატარებული ორგანიზაციულ-პროფილაქტიკური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებების შედეგად 1982 წელს, 1981 წელთან შედარებით შემცირდა როგორც რეგისტრირებულ საერთო დანაშაულთა ხვედრითი წილი, ასევე განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა რაოდენობა. ამაღლდა თანამშრომელთა იდეურ-პოლიტიკური დონე, მათი პასუხისმგებლობა მინდობილ საქმისადმი. უფრო გააქტიურდა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა კომუნისტებისა და უპარტიო მუშაკების დარაზმვისა და შინაგან საქმეთა ორგანოების წინაშე პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის.

დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებამ, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებამ და დისციპლინის ამაღლებამ, საშუალება მოგვცა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვსულიყავით გამარჯვებული, რისთვისაც გადმოგვეცა გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი ჯილდო, ხოლო ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი მ. კობახიძე და მისი მოადგილე პოლიტაღმზრდელობით დარგში, მილიციის მაიორი რ. ქიქავა დააჯილდოვეს ფასიანი საჩუქრებით.

ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს განყოფილების სამსახურებმა და ქვედანაყოფებმა, მათ შორის: საგუშაგო-საპატრულო სამსახურმა (უფროსი, მილიციის კაპიტანი ბ. ჯღენტი), რომელმაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების დანაყოფებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გარდამავალი ვიმპელი დაიმსახურა, ხოლო მილიციის სერჟანტი ა. ლორთქიფანიძე საუკეთესო მილიციელად აღიარეს.

ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების სამეთვალყურეო გამოსასწორებლების ქვეგანყოფილება რესპუბლიკის მასშტაბით სისტემატურად დგას მოწინავეთა რიგებში. ამ დანაყოფის 7 თანამშრომელი დაჯილდოვდა მილიციის ფრიადოსნის სამკერდე ნიშნით.

განყოფილების საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს არასრულწლოვანთა დაცვისა და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის მუშაკებმაც, რომლებმაც თავიანთი დაუღალავი და თავდადებული მუშაობით დაიმსახურეს საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ესოდენ მაღალი და საპატიო ჯილდო.

კომუნისტებს არ ჩვევიათ მიღწეულ წარმატებებზე შეჩერება. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელი რთულ ოპერატიულ ვითარებაში წარიმართა, რაც განაპირობა რეგისტრირებულ სისხლის სამართლის დანაშაულთა ჯერ კიდევ მაღალმა დონემ, განყოფილების პირადმა შემადგენლობამ ორგანიზებულობა და შეუპოვრობა დაუპირისპირა, რის შედეგადაც 5 თვის მონაცემებით მიღწეულ იქნა სისხლის სამართლის დანაშაულის შემცირება.

სსრ კავშირის შს სამინისტროს კოლეგიის მიმართვა ჩვენთვის საპროგრამო დოკუმენტია, რომელიც მიგვითითებს მუშაობის სწორ გზაზე.

საკავშირო შს სამინისტროს კოლეგიის მიმართვის განხილვის დროს ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილებამ მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამია: მკაცრი ბრძოლა გამოეცხადოს სოციალისტური კანონიერების უმნიშვნელო დარღვევასაც კი. მკვეთრად ამაღლდეს სამსახურეობრივი თუ სახელმწიფოებრივი დისციპლინა, ორგანოს რიგები გაიწმინდოს ისეთი მუშაკებისაგან, ვინც თავისი იდეურ-პოლიტიკური და მორალურ-ზნეობრივი თვისებებით ვერ პასუხობს მილიციის მუშაკისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ჩვენი სადღეისო ამოცანაა, თითოეული მუშაკი დავარწმუნოთ მთელი შეგნებით და სერიოზულობით მოახდინოს თავისი შესაძლებლობის ანალიზი, გაარკვიოს, შესწევს თუ არა უნარი, შეასრულოს ის საპატიო მისია, რასაც პარტია და მთავრობა უყენებს მილიციის ორგანოებს. მილიციის თითოეული მუშაკი სამაგალითო უნდა იყოს სხვებისათვის, პირადი მაგალითით აჩვენოს მაღალი ორგანიზებულობა, თვითშეგნება, დისციპლინა, საქმისადმი პრინციპული, სამართლიანი მიდგომა, არ დაუშვას დისციპლინის დარღვევის არცერთი უმნიშვნელო ფაქტიც კი. ა, სწორედ ასეთი ადამიანები მუშაობენ და იბრძვიან ჩვენს გვერდით.

რ. ქიქავა,
მილიციის მაიორი, ბათუმის შს განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტაღმზრდელობით დარგში.

აქტუალური ინტერვიუ

მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ყველა პასუხისმგებელია

1 სექტემბერს ძალაში შევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულება „საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ". საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ამ მნიშვნელოვან დოკუმენტს განმარტავს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი გ. გ. შალამბერიძე:

— დღეს ქალაქებისა და სოფლების ნორმალური ცხოვრება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობა ვერ წარმოგვიდგენია ტრანსპორტის გარეშე. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენებაში შემთხვევით როდი იყო ნათქვამი: „ისეთ ვრცელ სახელმწიფოში, როგორიც ჩვენია, სრულიად განსაკუთრებულ როლს ასრულებს ტრანსპორტი ეკონომიურისაც, პოლიტიკურისაც და, თუ გნებავთ, ფსიქოლოგიური როლსაც".

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება საავტომობილო ტრანსპორტი. იზრდება მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის მოცულობა. სიჩქარე, კომფორტულობა, ეკონომიურობა — აი, რით გვიზიდავს ავტომობილი.

მაგრამ მსოფლიო სტატისტიკა აღნიშნავს, რომ წლის განმავლობაში ჩვენი პლანეტის გზებზე საავტომობილო კატასტროფებში იღუპება 200.000-ზე მეტი კაცი, რვა მილიონამდე სახიჩრდება.

როგორ არის საქმე ჩვენს რესპუბლიკაში?

სტატისტიკის თანახმად საქართველოში ყოველწლიურად ავტოკატასტროფებში საშუალოდ იღუპება ათასამდე კაცი, სამი ათასზე მეტი სახიჩრდება. მიმდინარე წლის მარტო ექვს თვეში აღირიცხა 1.243 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთა შედეგად დაიღუპა 321 და დაშავდა 1.505 კაცი.

აი რატომ არის, რომ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება. ახალი ბრძანებულება ხელს შეუწყობს საავტომობილო ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცებას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის უსაფრთხოების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფას.

მაგრამ გზებზე უსაფრთხოება დამოკიდებულია არა მარტო ავტომობილისტებზე, არამედ ყველა მოქალაქეზეც. უსაფრთხოების უზრუნველყოფა დღეს საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა.

ახალი ნორმატიული დოკუმენტის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ მასში დიფერენცირებულია პასუხისმგებლობა იმისდა მიხედვით, თუ როგორია ჩადენილი სამართალდარღვევათა ნამდვილი საზოგადოებრივი საშიშროება, კანონი მთელ ძალას წარმართავს მათგან ყველაზე საშიში დარღვევების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხშირად გვეკითხებიან: რატომ არის დღემდე ასე ბევრი ავარია და უსაფრთხოების წესების დარღვევა რესპუბლიკის ტრასებზე? ამ წესების დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში ხომ მონაწილეობენ სახელმწიფო ავტოინსპექცია, უსაფრთხოების სამსახური და სხვა სამსახურები?

ყოველივე ეს სწორია, მაგრამ საჭიროა, რომ მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ არა გარკვეული ადამიანები, არამედ მთელი საზოგადოებრიობა, და, უწინარეს ყოვლისა, თვით მძღოლები. აი მაშინ გვექნება წესრიგი. მოვიშველიებ უბრალო მაგალითს — ავტოინსპექციის მუშაკმა გააჩერა მოჭარბოთ მძღოლი. იგი, ბუნებრივია, თავს იმართლებს, ამტკიცებს, წესი არ დამირღვევიაო. ხოლო დამსწრენი კრინტს არ ძრავენ, თითქოს ეს მათ არ ეხება. ამავე დროს ისინი, ან ზოგიერთი მათგანი მოწმე იყო მძღოლის მიერ ჩადენილი დარღვევებისა.

ხშირად ხდება, მძღოლმა მოძრაობის უსაფრთხოების წესები დაარღვია. სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკი აძლევს სიგნალს გაჩერდეს. ის კი მშვიდად განაგრძობს გზას და წინასწარ იცის, რომ მხოლოდ ხუთი მანეთი ჯარიმა ელის.

ახალი ბრძანებულება საშუალებას მოგვცემს მკაცრად დავსაჯოთ ასეთი მძღოლები. რეგულირების სიგნალებისადმი დაუმორჩილებლობისათვის სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები დაჯარიმდებიან ათიდან ოც მანეთამდე, ხოლო განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ჩამოერთმევათ მძღოლის უფლება ექვს თვემდე ვადით.

ბრძანებულებაში პრინციპულად ახალია პასუხისმგებლობის განსაზღვრა ავარიული ვითარების შექმნისათვის, რომლის დროსაც მძღოლს არა აქვს საშუალება დროულად და სწორად მოახდინოს რეაგირება შექმნილ სიტუაციაზე. ავარია არ არის, მაგრამ არის ავარიული სიტუაცია, და აი, აქ საზოგადოებრიობამ უნდა გამოთქვას თავისი გულისწყრომა, ახალი კანონის თანახმად კი დამრღვევი ოცი მანეთით ჯარიმდება.

განსაკუთრებით ბევრი დარღვევები აღინიშნება რკინიგზის გადასასვლელების გავლისას. ახალი ბრძანებულების თანახმად სატრანსპორტო საშუალებათა მძღოლები რკინიგზის გადასასვლელების გავლის წესების დარღვევისათვის ჯარიმდებიან ოცდაათ მანეთამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში ორმოცდაათ მანეთამდე ან ერთმევათ მძღოლის უფლება ექვს თვემდე ვადით.

ყველა ავარიის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ლოთობა. მარტო შარშან სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებმა ორ წლამდე ვადით მძღოლის უფლებები ჩამოართვეს 2.000 მძღოლს, რომლებიც ნასვამი მართავდნენ მანქანას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მთვრალის რეაქცია სამ-ოთხჯერ არის შენელებული. მას არ შეუძლია სწრაფად შეაფასოს შექმნილი საშიშროება. ამიტომ ავტომობილის მართვა უნდა ავუკრძალოთ ადამიანს, რომელმაც წინა დღით დალია სპირტიანი სასმელი: ორგანიზმი ხომ ერთბაშად ვერ თავისუფლდება ალკოჰოლისაგან.

საგანგებოდ მინდა შევეხო ახალი ბრძანებულების პუნქტს, რომელიც ეხება ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალებების მართვას. ბევრმა ვერ გაიგო და მიაჩნია, რომ შეუძლიათ მხოლოდ ჯარიმით გადაურჩნენ სასჯელს. მაგრამ ეს ასე არ არის.

ახალი ბრძანებულება ითვალისწინებს იმათ მკაცრად დასჯას, ვინც ნასვამი მართავს სატრანსპორტო საშუალებებს.

დადგენილია, რომ მძღოლი, ნასვამ მდგომარეობაში, მანქანის მართვის პირველ შემთხვევაში იხდის ჯარიმას ას მანეთამდე ოდენობით. ჯარიმის ოდენობა გაფრთხილების საკმაოდ ეფექტიანი ღონისძიება იქნება. მაგრამ ამავე დროს საშუალებას გვაძლევს, მძღოლებად შევინარჩუნოთ იმ პირთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც მიეჩვევიან მაგარ სასმელებს.

ახალი ბრძანებულება ხელს შეუწყობს, უკომპრომისოდ ვებრძოლოთ იმათ, ვინც გაბედავს ავტომობილის საჭეს მიუჯდეს ნასვამი. თუ პირველ შემთხვევაში ისინი დაჯარიმდებიან ას მანეთამდე ან ჩამოერთმევათ მძღოლის უფლება ერთ წლამდე ვადით, განმეორების შემთხვევაში მათ მძღოლის უფლება ჩამოერთმევათ სამ წლამდე ვადით.

ახლა ბევრი მძღოლი თავს არიდებს სამედიცინო შემოწმებას. მათი დაკავება, დარღვევის გაფორმება დიდ დროს საჭიროებს. სწორად ითვალისწინებს ერთნაირ დასჯას სამედიცინო შემოწმებისაგან თავის არიდებისათვის და ნასვამ მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვისათვის.

ბრძანებაში მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ იგი ითვალისწინებს იმ პირთა დასჯასაც, რომლებსაც ბრალი მიუძღვით გზებისა და საგზაო ნაგებობების სათანადო მოვლა-შენახვის წესების დარღვევაში, გზის ცალკეულ უბნებზე საშიშროების წარმოშობისას მოძრაობის დროული შეზღუდვისა თუ აკრძალვის ღონისძიებათა განუხორციელებლობაში, დაისჯებიან ის თანამდებობის პირნიც, რომლებიც რეისში გამოუშვებენ ტექნიკურად გაუმართავ ან თვითნებურად გადაკეთებულ მანქანებს, აგრეთვე იმ მანქანებს, რომლებსაც სახელმწიფო ტექნიკური შემოწმება არ გაუვლიათ.

ახალი ბრძანებულების მოთხოვნების განუხრელი დაცვა ხელს შეუწყობს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა არსებითად შემცირებას, რესპუბლიკის გზებზე სანიმუშო წესრიგის დამყარებას.

(საქინფორმი)

НАШИ ПЕРЕДОВИКИ

Более 7 лет назад по направлению Волгоградского завода тракторных деталей пришел в органы внутренних дел Роберт Суренович Джагацпанян. Работал сначала инспектором БХСС. Ныне старший лейтенант милиции Р. Джагацпанян работает старшим инспектором БХСС Богдановского РОВД. По итогам первого полугодия 1983 года он признан победителем в социалистическом соревновании среди сотрудников БХСС.

НА СНИМКЕ: Р. Джагацпанян.

НАСТАВНИК

Наставничество в органах внутренних дел является важнейшей формой воспитания молодого поколения. Наставники оказывают молодым сотрудникам неоценимую помощь, помогают им быстрее овладеть профессиональными знаниями и практическими навыками несения службы, вырабатывают у подшефных политические и нравственные и волевые качества, профессиональную гордость, дисциплинированность, сознательное отношение к выполнению служебного долга.

Немало теплых слов заслуживает наставник молодежи старший инспектор БХСС отдела внутренних дел ст. Самтредиа, майор милиции Пагава Реваз Георгиевич, который в течение ряда лет свой многолетний опыт и знания передает молодым сотрудникам, оказывает повседневную помощь в овладении избранной профессией, выявляет и устраняет допущенные ими ошибки, объясняет и личным примером показывает образец выполнения служебного долга, помогает в самостоятельном изучении нормативных актов и специальной литературы, знакомит с историей и традицией коллектива.

Трудовую деятельность Р. Пагава начал с 1952 года, когда 17-летним юношей пришел работать на завод им. Димитрова г. Тбилиси, затем служил в рядах Советской Армии.

С 1966 года Р. Пагава поступает на службу в органы внутренних дел на должность участкового инспектора.

Склонность молодого работника к оперативной работе скоро была замечена и его переводят инспектором уголовного розыска в ОВД ст. Самтредиа. Одновременно он поступает учиться в Московский кооперативный институт, после окончания которого его назначают инспектором БХСС ОВД ст. Самтредиа, а с 1980 года он является старшим инспектором БХСС.

Член КПСС с 1963 года, отличник милиции Р. Пагава с первых дней службы в органах внутренних дел проявил себя как энергичный, дисциплинированный, исполнительный работник. Он активно участвует в общественной жизни отдела, является председателем совета отличников, неоднократно избирался заместителем секретаря первичной партийной организации.

Р. Пагава помог многим молодым сотрудникам овладеть секретами трудной, но почетной профессии. В числе таких сотрудников можно назвать лейтенанта милиции Т. Гогоберидзе, который в течение полутора лет от участкового инспектора инспекции по делам несовершеннолетних вырос до следователя отдела — в этом немалая заслуга наставника.

По итогам 1981 и 1982 годов Р. Пагава, награжден переходящими вымпелами Грузинского УВДТ «Лучший наставник» и «Лучший по профессии».

За время работы в органах внутренних дел он неоднократно награждался призами МВД ГССР и Грузинского УВДТ, имеет медали «За безупречную службу».

С. ЧЕИШВИЛИ,
начальник ОПВР Грузинского управления внутренних дел на транспорте, майор милиции.

როცა დავალების შესრულებას უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ 1983 წლის 25 თებერვალს განიხილა საკითხი, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულთან ბრძოლის საქმეში უბნის ინსპექტორების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა ზოგიერთ ორგანოში დანაშაულთან ბრძოლის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი მილიციის უბნის ინსპექტორთა სუსტი მუშაობაა. ისინი სათანადო მუშაობას არ ეწევიან სამოქმედო უბნებში დანაშაულის აღკვეთისა და აცილებისათვის, მათი გამომწვევი მიზეზების გამოვლენის, ხელისშემწყობი პირობების გამოაშკარავებისათვის.

კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება მილიციის უბნის ინსპექტორების ხელმძღვანელობისათვის საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში, სათანადო საშტატო ერთეულის დაშვებამდე (განყოფილების უფროსის პირველი მოადგილე) აღნიშნულ საკითხის ხელმძღვანელობა გაეწიათ „შინაგან საქმეთა საქალაქო, რაიონული განყოფილების უფროსებს.

მთელ რიგ კონკრეტულ ღონისძიებებთან ერთად განყოფილებების უფროსებს დაევალათ: მიმდინარე წლის 30-ივნისამდე შეედგინათ თითოეულ უბნის ინსპექტორთა ინდივიდუალურ-აღმზრდელობითი მუშაობის პერსპექტიული გეგმა, რომელშიც გადასაჭრელი ამოცანების, განათლების დონისა და ოჯახური პირობებიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნებოდა ნათი იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი აღზრდის და პროფესიული მომზადების საკითხები.

სწორედ აღნიშნული საკითხის შესრულება შემოწმდა საქ. სსრ შს სამინისტროს საინსპექტორო განყოფილებისა და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების თანამშრომლების მიერ: გურჯაანის განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ჭ. გ. ლაზაშვილი), ამბროლაურის (განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ა. გ. პაპიაშვილი), თიანეთის (განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი დ. ა. რომბაძე), ყვარლის (განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ზ. ა. ჟოხაძე), თეთრიწყაროს (განყოფილების უფროსი, მილიციის ვ/პოლკოვნიკი გ. თ. ბერიანიძე), საგარეჯოს (განყოფილების უფროსი, მილიციის ვ/პოლკოვნიკი გ. შ. ხიდეშელი), სიღნაღის (განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ზ. გ. მეელიშვილი), ცაგერის (განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი გ. ვ. ჭეშელაშვილი), მთიულეთის (განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ტ. ვ. ბერსენაძე), ახმეტის (განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი გ. ვ. ბოტიაია), წულუკიძის (განყოფილების უფროსი მილიციის კაპიტანი ვ. გ. ვაგუჩაძე), ლანჩხუთის (განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი გ. პ. ჩხაიძე), გუდაუთის (განყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი ლ. ხ. გაბლია), სოხუმის (რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის ვ/პოლკოვნიკი ვ. ა. [illegible]).

ჩვენს მიერ დასახელებულ განყოფილებების ხელმძღვანელებმა არ შეასრულეს ბრძანებით გათვალისწი-ნებული მოთხოვნები, ზედმეტად წაიჩნიეს უბნის ინსპექტორებთან ინდივიდუალურ — აღმზრდელობითი მუშაობა. არც ერთ მათგანს არა თუ 30 ივნისისათვის, არამედ მიმდინარე წლის 10 აგვისტოსთვისაც კი შესრულებული არ ჰქონდათ კოლეგიის გადაწყვეტილების ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა, უბნის ინსპექტორებთან ინდივიდუალურ-აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვა მათთან აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსის განხორციელების შესახებ.

სწორედ აღმზრდელობითი მუშაობის და საქმიანობრივი მომზადების დაბალი დონითაა განპირო- [illegible] დან ყველაზე რთული და ეფექტური ინდივიდუალური მუშაობა.

შემოწმების შედეგად ისიც გამოირკვა, რომ განყოფილებების ხელმძღვანელობა ნაკლებად ზრუნავს უბნის ინსპექტორთა განათლების ცენზის ამაღლებისა და მათ რიგებში პარტიული ფენის გაზრდისათვის.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის 1983 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობის საკონტროლო შემოწმება აღნიშნულ რაიგანყოფილებებში დაგეგმილია მიმდინარე წლის მე-4 კვარტლის ბოლოსათვის. [illegible]

თ. გიორგაძე,
საქართველოს სსრ შსს პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.

ხალხი და მილიცია

აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელ ხალხთან ერთიან კავშირში, უკანასკნელი წლების მანძილზე სულ უფრო მტკიცედ და უკომპრომისოდ ებრძვიან დანაშაულობათა ყოველგვარ გამოვლინებას. [illegible]

[illegible]

ПРОДОЛЖАЯ ДЕЛО ОТЦОВ

В этой семье оба сотрудники органов внутренних дел, всю свою жизнь посвятившие делу охраны общественного порядка. Старший Патаридзе вот уже 5 лет находится на заслуженном отдыхе, но дело его и семейную традицию достойно продолжает его сын Тенгиз.

История этой милицейской династии началась в послевоенный период, когда бывший фронтовик, человек, перенесший Ленинградскую блокаду, все ужасы войны с первого до победного ее дня, пришел работать в органы внутренних дел, сменив солдатские погоны на милицейские.

Более трех десятков лет подполковник милиции Дмитрий Давидович Патаридзе бессменно стоял на страже правопорядка, работал на разных должностях в разных горрайорганах внутренних дел республики, а последние 9 лет возглавлял отдел внутренних дел Сачхерского райисполкома.

К фронтовым наградам ветерана прибавились и милицейские. «За отличную службу по охране общественного порядка», «За безупречную службу» 3-х степеней и многие другие.

...В милицию Тенгиз Дмитриевич попал не случайно. Его профессия определилась еще в детстве, когда он, мальчишка, подолгу засиживался в кругу коллег отца, внимательно слушал их рассказы о милицейских буднях и твердо решил — пойду работать в милицию.

Но и сбыться его мечте суждено было не сразу. Окончил Тенгиз школу и сдавал экзамены в университет на юридический факультет, но в первый год его постигла неудача. Однако, молодой парень не пал духом: пошел работать на завод слесарем-сборщиком. Здесь вокруг него всегда собиралась молодежь: спорили, обсуждали, планировали. Комсомольские рейды, вечера, походы — ни одно мероприятие не обходилось без его помощи и участия. А по вечерам, придя домой, находил время заниматься, чтобы на следующий год выдержать экзамены в университете.

1970 г. и 1973 г. — эти две знаменательные даты Тенгиз никогда не забудет всю свою жизнь. 1970 год — год, когда он стал студентом юридического факультета Тбилисского государственного университета, 1973 год — когда по рекомендации райкома комсомола его направили работать в милицию.

МИЛИЦЕЙСКАЯ ДИНАСТИЯ

Инспектор инспекции исправительных работ Калининского РОВД, инспектор группы кадров МВД ГССР, следователь Калининского РОВД, старший следователь Первомайского РОВД — вот так идет по нелегкой милицейской дороге старший лейтенант милиции коммунист Тенгиз Дмитриевич Патаридзе.

...В райотдел поступило сообщение о том, что неизвестный преступник, вырезав потолок дома, проник в квартиру гр-ки Зинаиды Ч., откуда похитил антикварные вещи на сумму 72.000 руб. На место происшествия выехала оперативная группа, в составе которой был и Патаридзе. Тщательно было осмотрено место происшествия, сняты отпечатки пальцев преступника. После трехдневного кропотливого труда была установлена личность преступника. Им оказался Гия Джавахия, 1948 года рождения, ранее трижды судимый. В ходе следствия раскрылись и другие кражи, которые были на его счету, но за которые он избежал наказания. Это было первым делом в исследовательской практике Патаридзе Тенгиза. За ним последовали другие. Ни одно сложное дело приходилось расследовать Тенгизу, но ни одно не было возвращено ему на доследование. Он быстро ориентируется в обстановке, действует сметливо.

...11 часов ночи. На улице все реже стали встречаться прохожие. В это время Артем А. прощался со своей тетей. На улице его ждала машина «Жигули», на крыше которой были прикреплены личные вещи владельца. Все было готово к отъезду. Попрощавшись со своей тетей, Артем вышел на улицу и... остановился как вкопанный. На крыше не было больше половины вещей...

Около трех месяцев бился Тенгиз, но никак не мог напасть на след преступников. Долго думал, определял, кто может иметь отношение — хотя-бы самое отдаленное — к краже личных вещей. Наконец, были определены границы поиска: соседи. В день кражи на первом этаже кутила молодежь, среди них было много молодых парней.

— Может кто-то из них, — подумал Тенгиз, — надо проверить. Опросы гостей увенчались успехом. Внимание следователя привлек один из них — Джалил Слоян, который очень странно вел себя, на вопросы отвечал рассеянно, нервно, подергивался. Что-то внутрение подсказывало Патаридзе: это он. Вот на нем и сосредоточил свои усилия Тенгиз. Долгие беседы с ним привели к тому, что Джалил не выдержал, все рассказал, как выйдя на улицу освежиться, он увидел машину, груженную вещами и решил «взять кое-что»...

Тенгизу нравится обстановка поиска, решение поставленных жизнью уравнений с целой обоймой иксов и игреков. Решение надо найти непременно, а пути к нему неизвестны. Ему нравится это «сегодня здесь, завтра там», что один беспокойный день не похож на другой, что приходится иметь дело с многочисленными людьми — такими разными по характерам, взглядам, судьбам и знать, что ты им нужен, они ждут от тебя защиты...

Совсем недавно Тенгиз закончил одно интересное дело — хищение золотых браслетов с Тбилисского ювелирного завода.

А впереди у Тенгиза будет еще много дел, расследование которых потребует от него огромной силы воли, терпения, знаний, ни одну бессонную ночь...

Но именно эта полная неожиданностей и поисков работа привлекла и увлекла в свое время его, мальчишку. И по сей день он остался верен своей мечте...

* * *

Традиции не рождаются сами по себе. Их создают люди. Честь и хвала тем, кто прожил свою жизнь так, что она стала примером для идущих им на смену.

А. САРКИСЯН.

ОПЕРАТИВНОСТЬ — РЕШИТЕЛЬНОСТЬ

всегда являются решающим фактором в сложных ситуациях по задержанию преступников. Примером оперативности может служить мероприятие, проведенное сотрудниками Глданского РОВД по задержанию угонщика автомобиля. Происходило это так. 9 августа с. г. у кинотеатра «ДРУЖБА» неким Мерабом Бадридзе была угнана автомашина «Жигули-2106» госномер М 1307 ГА. Но далеко уехать преступнику не удалось. Во втором микрорайоне, не сумев справиться с управлением, он врезался в дерево. Бросив машину, преступник попытался скрыться, но благодаря умелым действиям сотрудников ОУР Глданского РОВД А. Хумаряна, В. Гоброниндзе и Д. Кбилашвили личность преступника была установлена и через 3 часа он был уже задержан.

Н. ШЕКЛАШВИЛИ.

შეხვედრა თეირანში

ვ. ბერეჟკოვი

[illegible]

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № [illegible]

(გაგრძელება იქნება)

თვითმარქვია

ქალაქ ბორჯომის № 51 საკონსერვო მაღაზიის გამყიდველმა ე. ქ-მ განცხადებით მიმართა შს რაიგანყოფილებას, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1983 წლის 4 აგვისტოს მაღაზიაში შევიდა უცნობი მოქალაქე, რომელმაც მაღაზიის თანამშრომლებს „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტად გააცნო თავი.

უცნობს უნდოდა მაგნიტოფონის დინამიკების შეძენა, რაც იმ დროს მაღაზიის გაყიდვაში არ ჰქონდა და მოქალაქემ დაიბარა, რომ მაღაზიაში მოგვიანებით შეივლიდა. „კორესპონდენტი“ 6 აგვისტოს, დაახლოებით 15 სთ-ზე მივიდა მაღაზიაში, რომელიც დაკეტილი აღმოჩნდა. შეიტყო გამყიდველის ბინის მისამართი და თვითონ მიიყვანა მაღაზიაში.

მაღაზიაში უცნობმა შეადგინა აქტი დარღვევების თაობაზე. რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ორი ჩამოფასებული კაბა ნაცვლად იმისა, რომ ჩამოკიდებული ყოფილიყო, ცალკე იყო გადადებული.

უცნობმა მოქალაქემ, თავის დასასაბუთებლად, რომ ჰქონდა შემოწმების უფლება, აჩვენა რუსული შრიფტით დაბეჭდილი სამი ფურცელი, რომელთაგანაც ერთ-ერთზე იყო დაბეჭდილი „ზარია ვოსტოკა“, ხოლო მეორე ფურცელზე მოხსენებული იყო საქართველოს ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ბ. ნაზღაიძე. იგი, ამავე დროს ემუქრებოდა ე. ქ-ს რომ წარადგენდა მილიციის განყოფილებაში.

ეს ამბავი დაემთხვა ბორჯომის რაიონის ვაჭრობის ქსელის შემოწმებას საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროსაგან, კერძოდ საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარ სამმართველოსა და საქართველოს ტელევიზიის მიერ ჩატარებულ რეიდებს.

გამყიდველ ე. ქ-ს ეჭვი აღარ შეეპარა, რომ უცნობი ნამდვილად უფლებამოსილი იყო და იმ იმედით, რომ უცნობი დაეხმარებოდა დიდი ყოყმანის შემდეგ დაჰყვა მის მოთხოვნას და სახლიდან 1000 მანეთი გამოუტანა. უცნობმა ფული ადგილზე არ აიღო, ჩასვა თავის მანქანაში და პლატოსთან ტყეში წაიყვანა. იქ დაწერა აქტი და ე. ქ-ს განუმარტა, რომ ფული დასჭირდებოდა იმ ორი კორესპონდენტის გასაჩუმებლად, რომელთაც სურათები გადაუღეს მაღაზიის უსაფუძვლოდ დაკეტვის პერიოდში, ხოლო დახმარებისათვის მაღაზიაში დანახული იაპონური მაგნიტოფონი „სანიო“ მოითხოვა.

ე. ქ-მ დაშინებისა და მუქარის შემდეგ მაგნიტოფონი უცნობს გადასცა, მაგრამ დაეჭვებულმა მომხდარი ამბით გადაწყვიტა მისი მოძებნა მანქანის სახელმწიფო ნომრით, (11-55), სერია კი არ ახსოვდა. ძებნა უშედეგო იყო და ამიტომ ე. ქ-მ მიმართა ბორჯომის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას.

შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის ლეიტენანტის თ. შაბაშვილის, უფროსი ინსპექტორის მილიციის კაპიტნის ბ. ბლიაძის, უფროსი სახ. ავტოინსპექტორის მილიციის კაპიტნის თ. ხაჩიძის, უბნის ინსპექტორის მილიციის კაპიტნის გ. ბლიაძის, გამომძიებლის — მილიციის კაპიტნის თ. აჩელაშვილის შემადგენლობით.

7 აგვისტოს, წაღვერის უბნის ინსპექტორმა გ. ბლიაძემ განყოფილებას შეატყობინა, რომ იგივე გარეგნობის პიროვნება წაღვერის საკოლმეურნეო ბაზარში იყო, სადაც ნესვისა და საზამთროს გამყიდველს [illegible] თავი გააცნო „ზარია ვოსტოკა“-ს კორესპონდენტად და დაემუქრა, როგორც სპეკულანტებს, მილიციას გადასცემდა. კორესპონდენტმა გამყიდველებს ფული მოსთხოვა და ერთ-ერთი მათგანი მანქანით წაიყვანა რაიგანყოფილებაში, მაგრამ რადგან ვერ დაითანხმა ფულის მიცემაზე, ამიტომ განყოფილებაში აღარ შეიყვანა და უკან დააბრუნა წაღვერში, ფულის ნაცვლად საზამთროთი და ნესვით დაკმაყოფილდა.

იმავე დღეს, ოპერატიულმა ჯგუფმა დააკავა ავტომანქანა და მისი მძღოლი — ქ. თბილისში ბოგდან ხმელნიცკის ქ. № 147 „ა“-ში მცხოვრები, სახ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის, საღამოს დასწრებულის მეხუთე კურსის სტუდენტი მალაკან არამაისის ძე სუხანოვი.

წაღვერში, „კორესპონდენტის“ მიერ ცოლ-შვილისათვის ნაქირავები ბინის გაჩხრეკისას ოპერატიულმა ჯგუფმა აღმოაჩინა მაგნიტოფონი „სანიო“ და ფული 1000 მანეთი.

დამნაშავე, გამომძალველი მ. სუხანოვი მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

ბორჯომი.

ა. გოგოლაძე,
ჩვენი საკუთ. კორ.

ВОЗМЕЗДИЕ...

Преступление, о котором пойдет речь, было раскрыто несколько необычным способом. Необычным потому, что в милицейской практике обычно преступников, совершивших то или иное преступление, задерживают после того, как поступает в отдел сообщение о преступлении. А вот установить преступника, совершившего кражу из квартиры, изъять часть награбленного до того, как пострадавший заявит об этом в милицию, встречается не так часто.

И пусть не удивится сказанному наш читатель, ибо когда на улице Крцанисской была совершена кража из квартиры гражданина Давида К. он с семьей отдыхал. После возвращения он обнаружил квартиру «раскулаченной» — были похищены разные вещи и драгоценности на сумму 8.000 рублей.

И пока 6 августа 1983 года в Кировский райотдел милиции г. Тбилиси поступило сообщение о данном преступлении, тремя днями раньше по подозрению в сбыте ювелирных изделий был задержан ювелир ювелирного салона Ленинского района С. Кобулов, у которого в собственной автомашине «Жигули» оказались разные изделия из серебра. С. Кобулов сказал, что часть вещей принадлежит некоему Казаряну. Так, что оперативной группе в составе сотрудников уголовного розыска Н. Меликидзе, К. Иремашвили, возглавляемой заместителем начальника Кировского РОВД подполковником милиции К. Каландадзе удалось установит ь «центр», снабжающий «товаром» своего «сподвижника».

А спустя пару дней, когда Давид К. опознал вещи, которые были изъяты у С. Кобулова, то сомнений не оставалось: кражу совершил именно Казарян. Вскоре был задержан и Казарян, скрывающийся у своих родственников на Глданском массиве.

Биография Казаряна Артуша Ашотовича очень богата «приключениями». 25 лет и уже имеет 2 судимости: за кражу и употребление наркотических веществ. А освободившись из мест лишения свободы в марте с. г. выводов для себя никаких так и не сделал. Держать ответ перед правосудием Казаряну предстоит уже в третий раз.

Так что путь, избранный Артушем Казаряном, ведет только к одному — возмездию, возмездию... за свои «деяния».

А. БААКАДЗЕ.

ТОЛЬКО ФАКТЫ

16 августа с. г. в 15 час. в гор. Сухуми по ул. Бараташвили, 10, путем взлома дверей, с целью совершения кражи, было совершено проникновение в квартиру М. Руруа, однако сработала охранная сигнализация и на пункт централизованной охраны поступил сигнал «Тревога». Прибывшая по сигналу оперативная группа задержания ПЦО ОВО при Сухумском ГОВД в составе старшего группы сержанта милиции И. Замтария и милиционера-водителя рядового Д. Отхозория задержала в квартире преступника, которым оказался М. Шония, 1959 г. рождения, неработающий.

19 августа с. г., в 05 час. 20 мин. на пункт централизованной охраны при Первомайском РОВД г. Тбилиси поступил сигнал «Тревога» из охраняемой с помощью средств сигнализации квартиры М. Евангулова, проживающего по адресу: пр. Церетели, 101, кв. 42.

По сигналу «Тревога» выехала оперативная группа отдела вневедомственной охраны при Первомайском РОВД в составе: ответственного дежурного ОВО капитана милиции А. Азирашвили, водителя-милиционера сержанта милиции Н. Кочлашвили, рядового милиции Г. Гвинашвили и кинолога сержанта милиции Д. Куртанидзе со служебной собакой, которые прибыли на место происшествия, вошли в квартиру, в которой находился преступник Д. Царадзе, 1957 года рождения, житель города Чиатура, рабочий «Закттрансстроя», член ВЛКСМ, ранее не судимый.

Преступник был задержан и доставлен в дежурную часть Первомайского РОВД. В результате умелых действий группы ПЦО ОВО при Первомайском РОВД была предотвращена квартирная кража.

20 августа с. г., в 03 час. 30 мин. в г. Сухуми, на улице Индустриальная, нарядом милиции вневедомственной охраны ОВО при Сухумском ГОВД в составе старшего сержанта милиции Р. Родония и младшего сержанта милиции Г. Джахая задержан З. Аджба, 1960 года рождения, проживающий в пос. Ачандара Гудаутского района, который из дома № 54 через открытое окно похитил электронные часы, принадлежащие гр. Т. Гвилава и пытался скрыться.

Ю. ШАРАШЕНИДЗЕ,
нач. отдела УВО МВД ГССР, майор милиции.

„სოვეტსკაია მილიცია“ № 8

გამოვიდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალის „სოვეტსკაია მილიცია“-ს მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალის მოწინავე სტატია „პირადი შემადგენლობის აღზრდა — პარტიის მოთხოვნათა დონეზე“ მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებში უდიდესი ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1983) პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადაწყვეტილებებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

სტატია ვრცლად აშუქებს კომუნისტებისა და განსაკუთრებით პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანებს ქვეყნად ეკონომიკური, ორგანიზაციული და მართლწესრიგის მხრივ ზომების გატარების, იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, კომუნიზმის შენებელი ახალი ადამიანის აღზრდის, დამნაშავეობასთან შეურიგებელი ბრძოლისა და ამ საქმეში შინაგან საქმეთა ორგანოების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

რუბრიკით „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში“ მოთხრობილია სასურსათო პროგრამის საერთო-სახალხო საქმედ გადაქცევის, ეკონომიკური პროპაგანდის, შს ორგანოების თანამშრომლების ეკონომიკური ცოდნით მომზადებისა და ამ გზით სახალხო დოვლათის დატაცებისა და სხვა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების გაძლიერების შესახებ.

შს ერთ-ერთი რაიონული განყოფილების გამომძიებლის შრომით საქმიანობაზე მოგვითხრობს სტატია „ვრცელი ჩვენი ქვეყანა...“ მასში ნაჩვენებია ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებაში და სამსახურში წარმოშობილი სიძნელეების, მათი დაძლევისა და სახელოვანი ჩეკისტის ჩამოყალიბების არსი.

რუბრიკით „გამოცდილება, პრობლემები, მსჯელობა“ გამოქვეყნებულ სტატიებში „მწვანე ზონაში“, „ნოვოსელოვის სკოლა“, „ნაბიჯი პროფესიონალიზმისაკენ“, „როცა სამსახურებრივ მოვალეობას ივიწყებენ“, „სრული დატვირთვით რომ ვიმუშაოთ“ მოთხრობილია მილიციის მრავალფეროვანი მუშაობის ფორმებზე და მეთოდებზე ბუნების დაცვის დარგში, უბნის ინსპექტორისა და შტატგარეშე თანამშრომლის საზოგადოებრიობასთან მუშაობაზე, გამომძიებლის პროფესიონალურ დახელოვნებაზე, შს ორგანოს თანამშრომლისაგან უდისციპლინობის ჩადენის ან ფუნქციონალური მოვალეობის შეუსრულებლობის „გაკვეთილებზე“, საგამომძიებლო მუშაობის სრულყოფისა და მისი ეფექტურობის შესახებ.

რუბრიკით „კომპლექსური მიდგომის ზღვარი“ წერილებში „არ ვიყოთ გულგრილნი“, „არა, ეს წვრილმანი როდია“, „მზრუნველი მხარდაჭერა“, „წესრიგი შინ“, „მოწმეები“, „თავს ზევით მარტო საუბარი როდია....“, „მისი ცხოვრების გზა“ ჟურნალი მოგვითხრობს საბჭოთა ადამიანების შეგნებაში მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის, დისციპლინის შთანერგვის საკითხებზე და იმ უმნიშვნელოვანეს უბანზე შს ორგანოებისა საქმიანობაში დაგროვილი იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილების შესახებ, პირად შემადგენლობასთან ინდივიდუალური აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ქვედანაყოფის უფროსის პირად გამოცდილებაზე, მილიციაში კომკავშირულ მუშაობაზე და სხვა.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

სპორტი СПОРТ სპორტი

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა თელავის რაიგანყოფილების სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ჩაატარა შეჯიბრება „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით ტყვიის სროლაში. ათი გასროლით 67 ქულა დააგროვა და პირველობა მოიპოვა უფროსმა ლეიტენანტმა შ. ბერძენიშვილმა, მეორე ადგილზე (57 ქ.) გავიდა საპატრულო საგუშაგო სამსახურის მილიციელი ქ. გიორგელიშვილი. მესამე ადგილი დაიკავა ლეიტენანტმა ზ. არაბულმა.

ზ. ახალმოსულიშვილი,
ჩვენი შტატგარეშე კორესპონდენტი

На снимке: во время соревнований.

СОРЕВНУЮТСЯ ПОЖАРНЫЕ

В Риге проходил юношеский чемпионат СССР по пожарно-прикладному спорту на приз «Золотая штурмовка».

В соревнованиях приняла участие и сборная юношеская команда Грузии. О прошедших соревнованиях наш корреспондент А. МАЛАЯНЦ попросил рассказать руководителя делегации сборной Грузии, начальника отдела УПО МВД Грузинской ССР подполковника внутренней службы ЦИКЛАУРИ Н.

— Соревнования проходили на центральном стадионе «ДИНАМО», специально оборудованном для проведения подобных соревнований: около 100 мастеров — бойцов огненного фронта из всех союзных республик и городов Москвы и Ленинграда—оспаривали награды в пяти видах программы. В общекомандном первенстве звание сильнейших завоевал коллектив сборной команды РСФСР — 12,5 очков, на втором месте — сборная Украины — 22,0 очков, на третьем — Латвия — 25,5 очков, четвертом — Москва — 26 очков и пятом — сборная Грузии — 28,0 очков.

По сравнению с прошлогодним чемпионатом, где наша сборная была лишь шестой, мы поднялись на ступень выше. Заметно возросло мастерство наших ребят, а также расширилась география этого прекрасного вида спорта по нашей республике.

Если раньше основной костяк сборной республики составляли тбилисцы, потийцы и батумские спортсмены, то сейчас в составе сборной есть представители Сухуми, Рустави, Махарадзе и Ахалцихе.

Так что, я думаю, что пятое место, завоеванное нашими спортсменами—это успех, ведь позади нас оказались традиционно сильные коллективы, как Ленинград, Узбекская ССР, Казахская ССР и Белорусская ССР.

В конце беседы я бы хотел назвать фамилии тех, кто внес свою лепту в этот успех.

Это тбилисцы Г. Тваури и Т. Гигаури, батумцы М. Цинцадзе и М. Бзеканова, сухумец Л. Шамко, потиец М. Гугушвили, ахалцихский спортсмен С. Папоян и многие другие.

Сейчас сборная республики в сентябре примет участие в чемпионате СССР среди ведомств и ДСО.

ჩვენი მისამართი: 380004, ბესიკის ქ. 4. ტელ. 991-49-09, 991-40-91.
Наш адрес: 380004, ул. Бесики, 4. тел. 991-49-09 991-40-91
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. [illegible]
უე 09992